საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 65

24 05 2016 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 11 მაისის N03/3009 წერილის განხილვის შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის სხდომის N9 ოქმის მეცხრე საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 11 მაისის N03/3009 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, წახალისების სახით, უზრუნველყოს 500 ლარის გამოყოფა მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტსმენის ლუკა კაპანაძის ერთჯერადი ფინანსური დახმარებისათვის, რომელმაც ქალაქ მოსკოვში გამართულ ძიუ-დოს საერთაშორისო ტურნირში დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი.

2 . იმის გათვალისწინებით, რომ ლუკა კაპანაძე არასრულწლოვანია, განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული თანხა გადაირიცხოს მისი დედის - დარეჯან გუჯეჯიანის ანგარიშზე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ ზაურ ტაბატაძემ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი